საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1636 2020 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე

1. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და არ გავრცელდეს:

ა) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 03 01)

ფარგლებში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 320 ერთეულით, მათ შორის, 20 ერთეულით – დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში;

ბ) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „C ჰეპატიტის მართვის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 03 02 11 01) ფარგლებში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 30 ერთეულით;

გ) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებიდან „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 20 პირის საშუალო შრომის ანაზღაურება განსაზღვროს არა უმეტეს 5 500 ლარის ოდენობით.

2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**